


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ზ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

 ზურაბ ბუცხრიკიძე

„20 01“ 2015 წელი

ეგზ. № 1

მესტიის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში აქტ 12/00

2015 წელი

შინაარსი

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	5
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	6
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლები	7
ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა	7
სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა	9
ძირითადი საშუალებების ცვეთა	10
ინვენტარიზაცია	11
უარი დასკვნის გაცემაზე	13
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	13
ინვენტარიზაცია	16
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	18
მატერიალური მარაგები	18
შენობა-ნაგებობები	19
სხვა ძირითადი აქტივი	21
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	22
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	23
არაწარმოებული აქტივები	23
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	24
წმინდა ღირებულება	24
შრომის ანაზღაურება	25
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები	25
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	26
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	26
სხვადასხვა ხარჯები	27
აუდიტის დასკვნა - უარყოფითი დასკვნა	28
2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	29
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	48
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	48

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან

განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

მესტიის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საკუთარი ბიუჯეტით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი თავისივე უფლებამოსილების განსახორციელებლად აფინანსებს საჭირო ღონისძიებებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

იმის გამო, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობებია, წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ აღებულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან.

2012 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 24576.9 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 23912.5 ათასი ლარი (97%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 1968.5 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 120.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 21824.0 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

2012 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 24888.2 ათასი ლარი. გადასახდელების 71%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 29%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

2013 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 6002.2 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 4154.0 ათასი ლარი (70%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 1778.9 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 120.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 2255.1 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 8018.2 ათასი ლარი. გადასახდელების 83%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 17%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ ფინანსური და არაფინანსური აქტივების აღრიცხვა;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა;
- ✓ შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა;
- ✓ წმინდა ღირებულების და კაპიტალის აღიგნება;

- ✓ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა;
- ✓ ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა.

ორგანიზაციას არ აქვს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა, როგორც - სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

გარემოება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების¹ შესაბამისად, ყოველწლიურად მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება. აღნიშნული ბრძანებით არის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების ფორმა (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები), რომლებშიც აისახება ბუღალტრული აღრიცხვის შედეგად დამუშავებული და შეჯამებული ინფორმაცია. აღნიშნული ფორმები გულისხმობს ბალანსს და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ.

¹საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია, მომხმარებელს მიაწოდოს საიმედო ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობისა და გასულ საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შედეგების შესახებ.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2012 წელს მესტიის მუნიციპალიტეტში არ ხორციელდებოდა ბუღალტრული აღრიცხვა და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ არის შედგენილი. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 იანვრის განჩინების საფუძველზე, სამართალდამცავი ორგანოების მიერ სრულად არის ამოღებული მუნიციპალიტეტის 2012 წლის საქმიანობის ამსახველი საფინანსო დოკუმენტაცია.

იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს ნაწარმოები ბუღალტრული აღრიცხვა, ვერ წარმოგვიდგინა ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა პირველად დოკუმენტაციას, მასშტაბის შეზღუდვის გავლენა აუდიტზე ყოვლისმომცველია. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

გავლენა

- ორგანიზაციას არ აქვს წლის მანძილზე განხორციელებული საქმიანობის შედეგებზე სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების შეფასება, საანგარიშგებო წელს შექმნილი არაფინანსური აქტივის, კაპიტალის, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების გაანალიზება.
- გამგეობის ზემდგომი ორგანო და სხვა დაინტერესებული მხარეები ვერ ახდენენ წლიური ფინანსური შედეგების განხილვას, შეჯამებას, გასული და მიმდინარე წლების ფინანსური მდგომარეობის შედარებას და ანალიზს, რაც ხელს უწყობს დასაგეგმი წლისათვის აქტივების რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას, რეზერვების გამოვლენას და მობილიზებას.

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

გარემოება. ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად. აღნიშნულის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციებმა აღრიცხვა უნდა აწარმოონ ბუღალტრულ ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის შესაბამისად. ბუღალტრული ანგარიშგება უნდა განხორციელდეს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მეთოდით. კერძოდ: ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციები, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღირიცხება მემორიალურ ორდერებში, სადაც ოპერაციები შინაარსიდან გამომდინარე, კლასიფიცირდება ანგარიშთა გეგმის შესაბამისად. მემორიალური ორდერის ჩანაწერები თავს იყრის მაგროვებელ (ბრუნვათა) უწყისებში, საიდანაც გადაიტანება ე.წ. „მთავარ წიგნში“. მთავარი წიგნის ნაშთებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს წლიური ფინანსური ანგარიშგების შედგენა.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტი 2014 წლამდე არ ახდენდა საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას მის საკუთრებაში არსებული ქონების, ფინანსური და არაფინანსური აქტივების, დებიტორ-კრედიტორების და საკუთარი კაპიტალის შესახებ. ბუღალტრულად არ აქვს აღიწერილი წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები.

გავლენა

ბუღალტრული გატარებების მოუწესრიგებლობით არ მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი მთავარი ამოცანები:

- ორგანიზაციის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბება, რომელიც აუცილებელია ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მმართველობისათვის, აგრეთვე მიმწოდებლების, სტატისტიკური ორგანოების, ბანკებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ამ ინფორმაციის გამოსაყენებლად.
- დაწესებულების ქონებისა და მისი მოძრაობის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა კონტროლის უზრუნველყოფა.
- საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ნეგატიური მოვლენების დროული აღკვეთა, საბუღალტრო ინფორმაციის საფუძველზე რეზერვების გამოვლენა და მობილიზება.
- ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი წესების, პირობებისა და ანგარიშთა გეგმის განსაზღვრა.

ძირითადი საშუალებების ცვეთა

გარემოება. ორგანიზაციაში ძირითადი საშუალებები წლების განმავლობაში მოიხმარება და მისი ღირებულებაც თანდათანობით იკლებს. ამ პროცესის ასახვა ცვეთის აღიარებით ხდება. დარიცხვის მეთოდის თანახმად, ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებების ღირებულება პერიოდის შესაბამისად უნდა მიეკუთნოს ორგანიზაციის ხარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიანგარიშება მისი საწყისი ღირებულებიდან. მუნიციპალიტეტმა საკუთრებაში არსებულ ძირითად აქტივებს ყოველწლიურად უნდა დაარიცხოს ცვეთა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით² განსაზღვრული წესის შესაბამისად, ხოლო წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა უნდა აღიარდეს

² „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება.

ხარჯად და შესაბამისი ჩანაწერებით აისახოს ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში.

2012 წელს მესტიის მუნიციპალიტეტს არ აქვს ნაწარმოები ბუღალტრული აღრიცხვა, ბალანსზე არ აქვს აღრიცხული საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივები და არ ახდენს ცვეთის დარიცხვას ძირითად საშუალებებზე.

გავლენა

- მუნიციპალიტეტი ფინანსური საქმიანობისას არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში გაწეულ არაფულად (ცვეთის) ხარჯს.
- ნარჩენი ღირებულების დაზუსტების გარეშე, ცდომილების მაღალი რისკის მატარებელია აქტივის დადგენილი წესით განკარგვის, მათ შორის, პრივატიზაციისა და ჩამოწერის შესაძლო პროცედურები.

ინვენტარიზაცია

გარემოება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები, კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;

- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

პასუხიშემგებელი პირის განმარტებით, 2007 წლიდან მესტიის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტებთან.

გავლენა

მუნიციპალიტეტს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინვენტარიზაცია არ განუხორციელებია. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციას სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების, ასევე მცირეფასიანი აქტივების მოძრაობაზე. ასევე არ ხდება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება, აქტივებისა და ვალდებულებების შედარება ფაქტობრივ ნაშთებთან. გამოვლენილი გარემოების შედეგად დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

უარი დასკვნის გაცემაზე

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება, ხოლო შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაცია ამოღებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რის გამოც მასშტაბის შეზღუდვის გავლენა აუდიტზე არსებითი და ყოვლისმომცველია. აუდიტის ჯგუფმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტის ობიექტზე ვერ მოიპოვა, რის გამოც გამოთქვამს მოსაზრებას - „უარი დასკვნის გაცემაზე“.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

გარემოება. ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად. აღნიშნულის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციებმა აღრიცხვა უნდა აწარმოონ ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის შესაბამისად. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტი 2014 წლამდე არ ახდენდა საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას მის საკუთრებაში არსებული ქონების, ფინანსური და არაფინანსური აქტივების, დებიტორ-კრედიტორების, საკუთარი კაპიტალის შესახებ. ბუღალტრულად არ აქვს აღრიცხული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები.

გავლენა

ბუღალტრული გატარებების მოუწესრიგებლობით არ მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი მთავარი ამოცანები:

- ორგანიზაციის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბება, რომელიც აუცილებელია ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მმართველობისათვის, აგრეთვე მიმწოდებლების, სტატისტიკური ორგანოების, ბანკებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ამ ინფორმაციის გამოსაყენებლად.
- დაწესებულების ქონებისა და მისი მოძრაობის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა კონტროლის უზრუნველყოფა.
- საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ნეგატიური მოვლენების დროული აღკვეთა, საბუღალტრო ინფორმაციის საფუძველზე რეზერვების გამოვლენა და მობილიზება.
- ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი წესების, პირობებისა და ანგარიშთა გეგმის განსაზღვრა.

გარემოება. ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია³ ყოველწლიურად მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება. მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდებოდა აღნიშნული ვალდებულების შესრულება. 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დაგვიანებით, აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის შემდეგ. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობებს:

- მუნიციპალიტეტი არ ახორციელებდა ბუღალტრულ აღრიცხვას, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია არა ბუღალტერიის, არამედ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მონაცემზე

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №3643 ბრძანების შესაბამისად.

დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მზადდება საკასო მეთოდით, ხოლო ინსტრუქციის⁴ მიხედვით, ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითად დაშვებად განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდი.

- ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციით, არაფინანსური აქტივების საწყისი ნაშთი შედგენს 201.7 ათას ლარს. 2014 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილის აუდიტორული შეფასება. აუდიტორული დასკვნის მიხედვით, შეფასებულია 98 ობიექტი, რომლის ღირებულებამ 4 714.1 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტს ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს გააჩნდა მინიმუმ 4 714.1 ათასი ლარის ქონება, რომელიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

- ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში (ფორმა№-1) შევსებულია მხოლოდ აქტივების ნაწილი, ხოლო „ვალდებულებისა“ და „კაპიტალის“ მუხლებზე ინფორმაცია შეუვსებელია, შესაბამისად, არ არის დაცული საბალანსო ტოლობა. რადგან დარღვეულია ბალანსის შედგენის მთავარი პრინციპი, მასში წარმოდგენილი მონაცემები ვერ ჩაითვლება მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის ამსახველ სარწმუნო ინფორმაციად. ამასთანავე, 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შევსებული დანართი ფორმა - „ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“, ხოლო დანართი - ფორმა „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, შევსებულია არასრულყოფილად. კერძოდ, არ მოიცავს ინფორმაციას საწყისი ნაშთების შესახებ და არ არის გამოყვანილი საბოლოო ნაშთები.

- ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში. ორგანიზაციას ბალანსზე არ აქვს აღრიცხული ძირითადი საშუალებები და არ ახდენს მათზე ცვეთის დარიცხვას.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის ბრძანება №1321,

შესაბამისად, ცვეთის სახით არ ხდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ორგანიზაციის ხარჯად აღიარება.

გავლენა

- აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური და არაფინანსური აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის შესახებ შეიცავს უზუსტობებს. ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი, როგორც საწყისი ნაშთები, ასევე წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საფინანსო ოპერაციები. აღნიშნული უზუსტობების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი და ყოვლისმომცველია. აქედან გამომდინარე, 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას.

ინვენტარიზაცია

გარემოება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები, კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;

- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

პასუხიშემგებელი პირის განმარტებით, 2007 წლიდან მესტიის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტებთან.

გავლენა

მუნიციპალიტეტს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინვენტარიზაცია არ განუხორციელებია. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციას სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების, ასევე მცირეფასიანი აქტივების მოძრაობაზე. ასევე არ ხდება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება, აქტივებისა და ვალდებულებების შედარება ფაქტობრივ ნაშთებთან. გამოვლენილი გარემოების შედეგად დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

მოთხოვნები წინასწარი გადახდებით

გარემოება. მუნიციპალიტეტმა წლის განმავლობაში მიმწოდებლებს⁵ საბანკო უზრუნველყოფის საფუძველზე ავანსად გადაურიცხა 377.2 ათასი ლარი. 2013 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით, მიმწოდებლებს მიღებული ავანსის ღირებულების სამუშაოები არ ჰქონდათ შესრულებული. აქედან გამომდინარე, წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის მოთხოვნა შეადგენს 377.2 ათას ლარს. აღნიშნული ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“, შემცირებულია 377.2 ათასი ლარით.

მატერიალური მარაგები

გარემოება. 2013 წელს მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში⁶ შეისყიდა 157.9 ათასი ლარის სამშენებლო მასალები. სამშენებლო მასალები მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს აქტივს და უნდა აღირიცხოს „მარაგების მიღების“ მუხლში. განხორციელებული სამეურნეო ოპერაციის შედეგად გახარჯული მარაგები უნდა აღიარდეს აქტივად ან ჩამოიწეროს ხარჯში. ფინანსურ ანგარიშგებაში შეძენილი აქტივი ნაცვლად მატერიალური მარაგების მოძრაობის (მიღება - გასვლის) მუხლისა, წარმოდგენილია „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (დანართი-ფორმა №5) „მატერიალური მარაგების“ მიღებისა და გასვლის მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, №3) „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი. აღნიშნული გავლენას ახდენს ბალანსის დანართ №3-ში წარმოდგენილი ნაშთის სისწორეზე.

⁵ ხელშეკრულებები: №180/1; №160; №205; №214.

⁶ ხელშეკრულებები: №80; №86; №97; № 100; №107; №111; №112; №124; №131; №144; №154; №153; №256; №123; 262; №113/1.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულებისა“ და საცნობარო მუხლები წარმოდგენილია არასწორად.

შენობა-ნაგებობები

გარემოება 1. მუნიციპალიტეტმა წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2013 წელს სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში⁷ შეისყიდა 607.9 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოები. კერძოდ: ხიდის, შენობის, სპორტული მოედნისა და სხვა სახის სამუშაოები. აღნიშნული ოპერაციები წარმოადგენს ორგანიზაციის აქტივების ზრდას და უნდა აღირიცხოს აქტივად. აღნიშნული ოპერაციები ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმები №2-1; №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 607.9 ათასი ლარით.

გარემოება 2. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2013 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა 424.3 ათასი ლარის სამუშაოები. რომლებიც მოიცავდა ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობის, სასაფლაოების შემოღობვის, წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და სხვა სამუშაოებს. აღნიშნული ოპერაციები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივების ზრდას და აღრიცხული უნდა იყოს „შენობა-ნაგებობების“ შესაბამის მუხლებში. ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების ღირებულება - 280.6 ათასი ლარი,⁸ ნაცვლად „შენობა-

⁷ ხელშეკრულებები: №113; №201; №206; №268; №70; №74; №127; №168; №158; №187; №267; №51; №214/1 №261.

⁸ ხელშეკრულებები: №152; №147; №71; №75; №81; №98; №115; №114; №121; №123; №125; №138; №157; №162; №175; №195; №227; №232; №210.

ნაგებობების“ მუხლისა, წარმოდგენილია „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში, ხოლო 143.7 ათასი ლარი - „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.⁹

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1; ბალანსის დანართი - ფორმები №2-1; №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი 424.3 ათასი ლარით შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2; №3) „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 280.6 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2; №3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების მუხლი“ გაზრდილია 143.7 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი-ფორმა №3) წმინდა ღირებულების საბოლოო ნაშთი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.
- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი- ფორმა№1) წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 4. 2013 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 124.7 ათასი ლარის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება. როგორც ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით არის განსაზღვრული, ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ზრდის აქტივის ღირებულებას. დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულების ნაწილი არ არის აღრიცხული, ხოლო ნაწილი ნაცვლად არაფინანსური აქტივისა, კლასიფიცირებულია „სხვადასხვა ხარჯის“ მუხლში.

⁹ ხელშეკრულებები: № 227; №231; № 232; № 220; №226; №261.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმები №2-1, №5) „შენობა-ნაგებობის“ მუხლი 124.7 ათასი ლარით არის შემცირებული.
- აქტივის ოპერაციების ხარჯში აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2; №3) წარმოდგენილი „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლისა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი-ფორმა №1) წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 5. მუნიციპალიტეტმა 2013 წელს შეისყიდა მესტიაში ზურულდისა და ცხაკვაგარის მთებზე სადგურების, გზისა და გაბიონის მოწყობის სამუშაოები.¹⁰ მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 321.1 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში შესრულებული სამუშაოების ღირებულება წარმოდგენილია 15.3 ათასი ლარით ნაკლები თანხით - 305.8 ათასი ლარით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1, დანართი ფორმები № 2-1, №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.

სხვა ძირითადი აქტივი

გარემოება. ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის (ფორმა №1) „სხვა ძირითადი აქტივის“ მუხლი წარმოდგენილია 52.3 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული მონაცემების შესწავლით ირკვევა, რომ აღნიშნულ მუხლს შეცდომით არის მიკუთვნებული სხვა მანქანა-დანადგარისა და ინვენტარის ღირებულება.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა №1) „სხვა ძირითადი აქტივების“

¹⁰ ხელშეკრულებები: № 196; №172; №133; №155.

მუხლი გაზრდილია 52.3 ათასი ლარით.

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი

